„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...“ ლადო ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * სექტემბერი. 2019 * (7)54

გილოცავთ „შოთობის“ სახალხო დღესასწაულს!

გვახსოვდეს!

შოთა რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეო ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში შოთა რუსთაველის სახელს ატარებს (შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია). თბილისის მთავარ გამზირსაც რუსთაველის სახელი ჰქვია. თბილისუს საერთაშორისო აეროპორტი შოთა რუსათაველის სახელს ატარებს. ასევე არსებობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, და ა.შ.

– **1965 წლის ივლისი** — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით, შეიქმნა სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტი პოეტ ნ. ტიხონოვის თავმჯდომარეობით.

– **1965 წლის ოქტომბერი** – საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირში გაიმართა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კომიტეტის სხდომა.

1966 წლის აგვისტო – ქ.თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების თვითმოქმედი ანსამბლების მონაწილეობით გაიმართა გრანდიოზული საზეიმო კონცერტი მიძღვნილი რუსთაველის 800 წელთან დაკავშირებით.

– **1966 წლის სექტემბერი** – გაიმართა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სესია. რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა და უცხოელმა მწერლებმა და მეცნიერებმა.

– **1966 წლის სექტემბერი** –ახალციხეში გაიმართა მიტინგი რუსთაველის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით.

– **1966 წლის სექტემბერი** – ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავში საქართველოსა და უცხოეთის დელეგაციების მრავალმა წარმომადგენელმა გვირგვინებით შეამკეს გენიალური პოეტის ძეგლი.

– **1966 წლის სექტემბერი.** –ძეგლ-ნაკრძალ ვარძიაში გაიმართა გრანდიოზული შეხვედრა საქართველოსა და მსოფლიოს 80-ზე მეტი ქვეყნის მრავალ ცნობილ მწერალსა და პოეტთან, მთარგმნელსა და ხელოვნების წარმომადგენლებთან.

– **1966 წლის სექტემბერი** – ს.ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ამსახველი გამოფენა.

– **1966 წლის სექტემბერი** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეოდ წიგნისა და ილუსტრაციის გამოფენა მოეწყო, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ მრავალი ილუსტრაცია წარმოადგინეს.

– **1966 წლის ოქტომბერი** – თბილისში, რუსთაველის ძეგლთან, გაიმართა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილისადმი მიძღვნილი საზოგადოების შეკრება.

– **1966 წლის ოქტომბერი** – ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი.

– **1966 წლის ოქტომბერი** – თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი თეატრალიზებული წარმოდგენა – „ოდა რუსთაველზე.„

– **1966 წლის ოქტომბერი** – თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილისადმი მიძღვნილი სპორტული დღესასწაული.

– **1966 წლის ოქტომბერი** – ქართული პოეზიის დღეებით დაიწყო მოსკოვში რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეო ზეიმი.

– **1966 წლის ოქტომბერი** – მოსკოვში „ბოლშაია გრუზინსკაიას“ სკვერში გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი.

– **1966 წლის ოქტომბერი** – მოსკოვის დიდ თეატრში რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო ჩატარდა.

– **1966 წლის ოქტომბერი** – მოსკოვის კრემლის ყრილობათა სასახლეში რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი გაიმართა.

ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები ასპინძაში

ახლახან ასპინძის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრებმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მოსახლეობასთან შეხვედრები გამართეს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ილია ნაკაშიძე, ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი გია კოპაძე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე და საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა მელიქიძე ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლების: ნაქალაქევის, მირაშხანის, თმოგვისა და ფიის მოსახლეობას შეხვდნენ.

ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს სოფლის განვითარებისთვის პრიორიტეტული საჭიროებები გააცნეს და, შესაბამისად, მათგან დაგეგმილი სამუშაოების შესახებ საინტერესო ინფორმაციები მოისმინეს. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, აგრეთვე, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა მოსახლეობის მიერ დასმულ კითხვებს ამომწურავად უპასუხეს. ადგილობრივებს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით არსებული სიახლეები გააცნო მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა და, ასევე, სახელმწიფო პროგრამებში მოსახლეობის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, გარდა ამისა, საუბარი შეეხო ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობასა და განსაკუთრებით სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციაზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

8 აგვისტოს ასპინძის მუნიციპალიტეტში საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა.

დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული რამდენიმე საკითხი განიხილეს:

1.ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N13 დადგენილებაში

„ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები„– ცვლილების შეტანის შესახებ;

2. 2019 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ;

3. ხელშეკრულების ობიექტის მიმართ, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, დამატებითი სამუშაოებისთვის 1264,29 ლარით ხელშეკრულების ღირებულების გაზრდის შესახებ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

26 აგვისტოს, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის მამუკა მელიქიძის თავმჯდომრრობით საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა, სადაც განიხილეს შემდეგი საკითხი: ასპინძის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც დეპუტატებმა ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.



ფიქრები პოეზიაზე

„პოეზია ჩემთვის ისეთივე ძვირფასია, როგორც გაზაფხული, რომელიც მაახალგაზრდავებს, ისეთივე აუცილებელია, როგორც სიყვარული, რომელიც მიხანგრძლივებს სიცოცხლეს. რა ღატაკი იქნებოდა ადამიანი, რომ მას არ გააჩნდეს ასეთი განძი — ლექსი“.

ვერიკო ანჯაფარიძე

პატივი მიაგეს

8 აგვისტოს, კულტურისა და დასვენების პარკში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელმა პირებმა თანამშრომლებთან და მოსახლეობასთან ერთად 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული გმირები კიდევ ერთხელ გაიხსენეს და სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა მემორიალი გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს, დაანთეს სანთლები და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას. გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებლად პანაშვიდი ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურმა მამა ზაქარიამ გადაიხადა. „2008 წელს რუსეთის აგრესიის დროს საქართველომ 169 სამხედრო მოსამსახურე, 16 პოლიციელი და 188 მშვიდობიანი მოქალაქე დაკარგა. მათ შორის იყო სოფელ მირაშხანის მკვიდრი, საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპული გმირი ტარიელ ქამაშიძე. როგორც შეკრებილებმა აღნიშნეს, 8 აგვისტო უმძიმესი დღეა საქართველოს უახლოეს ისტორიაში. უდიდეს ტრაგედიას თავის გმირები ჰყავს, რომელთა თავდადება სამაგალითოა ყოველთვის. შესრულდა საგალობლები ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ „წუნდას“ მიერ.

რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიისა და ოკუპაციის გასაპროტესტებლად სანთლებით სიმბოლურად საქართველოს რუკა გამოსახეს და მანათობელი ფრანები გაუშვეს, – როგორც მშვიდობის გზავნილი.

ჯეროვანი კონტროლი - შესრულებულ სამუშაოებს!

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე შალვა ბერძენიშვილი, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე და მერის მოადგილე დავით პაპაშვილი.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, მუნიციპალიტეტის სინამდვილეში უკანასკნელი წლებია, არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რამაც შესამჩნევად შეცვალა როგორც დაბის, ასევე სოფლების დიდი ნაწილის იერსახე, საგზაო ინფრასტრუქტურაზე რომ არაფერი ვთქვათ, კეთილმოეწყო როგორც დაბის შიდა ქუჩები, ასევე ტროტუარები, მდინარე ოთის წყლის კალაპოტში ჩატარდა და ამჟამადაც მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები, მრავალსართულიან კომუნალურ ბინების სადარბაზოებს ჩაუტარდა ევროსტანდარტების შესაბამისი რემონტები და მრავალი სხვ. რაც, პირველ რიგში, მათ ხარისხიან შესრულებაზე ჯეროვანი კონტროლის დაწესებითაა გამოწვეული. ახლახან, ამ მიზნით, ასპინძის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს ადგილზე გაეცნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესყიდვების სამმართველოს წარმომადგენლები – ოთარ არევაძე და დავით ბერაძე,

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე აღნიშნეს

ყოველწლიურად 12 აგვისტოს აღინიშნება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, რომელიც გაეროს ინიციატივით 1999 წლიდან იქნა დაწესებული.

როგორც ყველგან, ასპინძაშიც ამ დღის აღსანიშნავად მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებითა კულტურის ცენტრში უფასო კონცერტი გაიმართა ცნობილი ქწართველი იუმორისტის პაატა გულიაშვილისა და პაატა ხაჩიძის მონაწილეობით.

აღნიშნულ ღონისძიებაზე მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ დამსწრე საზოგადოებას ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე მიულოცა. ახალგაზრდებს, რომლებმაც მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, მერმა მადლობა გადაუხადა და დააჯილდოვა სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით

8 აგვისტოს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელმა პირებმა თანამშრომლებთან ერთად სოფელ მირაშხანში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის 11 წლისთავზე პატივი მიაგეს საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპული გმირის ტარიელ ქამაშიძის ხსოვნას და მისი სახელობის მემორიალი და საფლავი ყვავილებით შეამკეს.

საინფორმაციო შეხვედრა

ამ დღეებში ასპინძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედა – „გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის შესახებ“, რომელსაც ექსპერტი გია ჟორჟოლიანი და არასამთავრობო ორგანიზაციის – „საზოგადოებრივი დამცველის“ წარმომადგენელი ირინა ფუტკარაძე უძღვებოდნენ. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები და ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის მიმართულებით დასაქმებული პირები. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

შეხვედრა გენდერის დეპარტამენტის თანამშრომლებთან

14 აგვისტოს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, საქართველოს სახალხო დამცველის, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა დევიზით – „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში„. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატი წლის ბოლომდე გეგმავს განახორციელოს თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის კვლევა, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინიციატივების ანალიზს და მათი გავლენის შეფასებას ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების და მოწყვლადი ჯგუფების კეთილდღეობაზე. შეხვედრას უძღვებოდნენ სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის თანამშრომლები გვანცა ხარატიშვილი და სოფო რუსეცკი.

აღნიშნულ შეხვედრას მოწვეულ ქალბატონებთან ერთად ესწრებოდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები.

ცოტნეობა - 2019

ტრადიციულად, ამა წლის 12 აგვისტოს, დიდი ქართველი წმინდანის, ცოტნე დადიანის ხსენების დღესთან დაკავშირებით ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალაში, კოხტას ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე საზეიმო ღონისსძიება გაიმართა.

ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურმა მამა ზაქარიამ პარაკლისი აღავლინა, რომლის დასრულების შემდეგ ა(ა)იპ ,,ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრში შემავალ ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,წუნდამ" შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები და საგალობელი. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა მელიქიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. წმინდა ცოტნე დადიანის ხსენების დღეს, მართლმადიდებლური ეკლესია, 1999 წლიდან აღნიშნავს.

შემაჯამებელი ღონისძიება

15 აგვისტოს ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრმა შემაჯამებელი საზაფხულო ღონისძიება გამართა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა: „წუნდამ“ და „სამცხემ“, ქალთა გუნდმა და კულტურის ცენტრის გაერთიანების სასოფლო კლუბების წარმომადგენლებმა.

ჯავახეთი

(ეთნოგრაფიული წერილი)

საზოგადოდ. ჯავახეთში, მამაკაცს მეტი გავლენა აქვს დედაკაცზე, უფრო, მეტადრე, წვერთეთრასი, რომლის ბძანებლობის და მორჩილების ქვეშ უნდა იმყოფებოდეს მთელი ოჯახის წევრი, რომელნიც ხშირათ 20-30 სულს შეადგენს. ერთ უფროსის მეოხებითა, რომ ოჯახობაში ბევრდებიან და გვიანობამდი არ იყრებიან რამდენიმე ძმა, რომელნიც მისი ბძანების ქვეშ მორჩილობენ.

ბოდიშს ვიხდი მკითხველთადმი და აქ მოვიყვან ნიმუშად ჯავახეთის სახლ-ოჯახობის გამგებლობის მაგალითს:

1882 წ. სოფ. ხიზაბავრაში ცხოვრობდა კიდევ ჭარმაკი 70 წლის მოხუცი, ველიჯანათ (ხონხელთ) პეტეი. მოხუცი პეტე მართავდა ოჯახში 47 სულის ბედ-იღბალსა. ამას ორი ძმაც ჰყავდა. ატო 67 წლისა, და აკო 62 წლისა. ცოლ-შვილი სამთავ ჰყავდათ. პეტეს 3 ვაჟი ჰყავდა, მათში ორი დაცოლშვილებული 8 სულიც ისინი. აქ ამათი შვილიშვილები არ გვაქვს ჯერ ამის ანგარიშში, აკოს 5 ვაჟი დაცოლშვილებული, – 10 სული. ასე სამი ძმის ცოლ-შვილს რძლებიან შეადგენს 8 ს.+10 ს= 26 სულს. ამ ოჯახიდან 3 ქალიშვილიც გათხოვილი ჰყავდათ, რომლის ანგარიში არ შედის აქ. 21 ყმაწვილიც ამ უფროსი ძმათა შვილებსა ჰყავდათ, ე.ი. 7 ცოლიანსა შეადგენს 26 ს+21 ს. = 47.

აქ ისიც უნდა გავიხსენო, რომ ამ ოჯახობაში 5 აკვანი ედგათ. ესენი რადგან ერთს სახლში ვერ მოთავსდებოდნენ, სიმრავლის გამო, ამიტომაც სამს (ერთ მეორის ახლო) შენობაში იდგნენ თვითეული ძმა თავის ჩამომავალი რაიონითა თითო სახლში, ხოლო სმა-ჭამაში ერთათ იყვნენ. წვეულება (თუ ქორწილი) გეგონებოდა.

ქალები ცალკე და კაცები თავისთვის, ჯგუფად დასხდებოდნენ, რომელთაც წინ დიდრონი ფეშხუმები და ზოგს კი ტაბაკი, ლასთები ედგათ სუფრათა, რაზედაც სამი ფუთი პური მაინც უნდა დაეწყოთ, და 12-15 დიდრონი ჯამი სათვითაო კოვზებითა, რომელსაც თითოს სამი-ოთხი უტლაკუნებდა კოვზით თვითეულს ჯამს და სჭამენ შეჭამანდსა, ისიც დაგირჩებათ უმნიშვნელო, იმათი ორყურიანი უშველებელი ქვაბი, რაშიაც 47 სულის შეჭამადის მოდუღებას კისრულობდა



ხოლმე ყოველ დღე.

გასაკვირველი აქ კიდევ ის არის, რომ ამოდენა ხიზანში ერთი მეორის წყენა ძმებ შორის, თუ რომლებ შორის, იშვიათი იყო. ყველა ესენი, უფროსი მოხუცი პეტეს, რიხის ქვეშ იმყოფებოდნენ. ყველა მის ბძანებას ვერ გადავიდოდნენ, ვერც ქალნი და ვერც კაცნი ყმაწვილებითურთ.

პეტეს მიენდებოდა, გარდა იმისა რომ მის ბძანების ქვეშ ყოფილიყო 74 სულის გარემოება. მთელი ოჯახის შინაურ-გარეული მმართველობაც. მაგ. მიცემა საერთო, ხარჯების გაცემა და ვალების აკრეფა. საყიდელი რამ ოჯახისთვის, ნავთი, საპონი და სხ, ფარჩა, რის ცნობას აკო და ატო თავიანთ ნაყარს რაიონებში გაიგებდნენ თავათ პეტეც თავისაში! იკითხებდნენ რძლებში, ბავშვები თუ ვის რა სამოსი აკლდა და ამ ცნობებით რა გაიგებდა უფ. მმართველი პეტე, ისიც იმ დაგვარ იყიდდა ალიბეზს თუ სამოსელსა და სხ, და ამ გვარათ საერთო მმართველებს უწევდა ოჯახსა.

ატოს მიენდობოდა ყანა, ჭალის თუ ბაღ-ვენახის მოვლა: ამის ხელში იყო, ყოველი მუშა ხარებითურთ და იარაღითა, საჭიროებაში გაეგზავნა სადაც მოთხოვნილება იქნებოდა.

აკოს კი თხა, ცხვარი და (ძროხა) საზოგადოდ, საქონლის მოვლა მინდობილი ჰქონდა, ამის საქმე იყო მეცხვრეთ, ვინ და საით გაეგზავნა. დაეპარსა თხა-ცხვარი, გაეყიდა თუ ეყიდა ესენი და სხ,

როგორც ატო და აკო თავიანთ ხვედრს საქმის ანგარიშებს პეტეს გადასცემდნენ, რომ მასაც სცოდნოდა საერთო ოჯახში მომხდარი ცვლილებები. და თუ უფროსი პეტე შენიშნავდა რაიმე ნაკლს, გაუსწორებდა ამათ და ისინიც ვალდებული იყვნენ დამორჩილებოდნენ უფროს ძმასა და თვითონ კი უნდა დაემორჩილებინათ თავიანთ ხელქვეითნი წესით ერების შეურყევლობისათვის.

უფროსი მმართველი პეტეს ცოლს მიენდობოდა ყოველივე საჭმელ-სასმელის მარანი, ერბო, ყველი, ფქვილი და მისთანობა იყო ოჯახში, რასაც გამოზოგებით ახმარდა მის ოჯახს.

ატოს ცოლს მიენდობოდა მხოლოოდ პურის ცხობა თონეში. ეს ადამიანი კვირაში ერთხელ ანთებდა თონეს, ზელდა, რძლების მოხმარებით, ორ ჯამს ფქვილსა. ამოდენა პურს სულ ის ადამიანი აკრავდა გახურებულ თონეში და ამოჰყრიდა ხოლმე, რომელსაც მთელი სახე-პირი დამწვარი ჰქონდა და წურწულით გადმოსდიოდა ოფლი გათენებიდან ვახშმობამდინ. აკოს ცოლს მიენდობოდა მთელი თხა-ცხვრის და ძროხების წველა და ნაწველი რძის დამუშავება ერბო-ყველად. ამისავე ხელი იყო მატყლ-ბანალის შენახვა და საჭიროებაში დამუშავება მისი ქათამ-ბატის კრუხად დაჯდენა და გამოჩეკილების გაზდაც სულ ამის საქმე იყო. ქონება ამათი ველიჯანათ პეტეს 20 დესენტ. სახნავ-სათესი მიწა ჰქონდათ. 2 დესეტინა ვენახი მტკვრის ხეობაში, 13 სახლი, 300 სული თხა-ცხვარი, 10-13 ძროხა, 2-3 ცხენი, 3-4 ვირი, 4-5 ძაღლი, 3 კატა და 200 ფთაზე მეტი ქათამ-ბატი, 7 – 8 ხბო-ხარი, 6 უღელი გამოზამთრული 7-8.

ჯავახთა ნაწარმოებს შეადგენს: პური (დიკა, დოლი, ჭვავი,), ქერი, სელი (საიდანაც ზეთსა ხდიან), ოტკა (პურისას ხდიან), ერბო, ყველი, მატყლი, ბალანი, თაფლი, სანთელი, ხალიჩა, საჩოხე შალი, წინდა, პაიჭი, ხურჯინი, ფიჩვი, ზეთი, კვერცხი, შინაური ფრინველი და საქონელი, კალმახი, წურბელიც და სხვა.

მოჭარბებულს ადგილობრივსვე ჰყიდიან ჯავახხნი ფულზე, ან სცვლიან საჭირო საქონელზედ, ხოლო კვერცხი, ნაქსოვი, წურბელი და ფეხმახვილი საქონელი გააქვთ ადგილობრივ ვაჭრებს დასავლეთ საქართველოში.

ჯავახელების ვაჭრობა დღითიდღე წინ მიდის და სწრაფად ძლიერდება აღებ-მიცემლობა ცვლაზედ მოქმედებს, მაგ. შეტანილ ცოცხს ქერზედ სცვლიან და ამას კი სხვაზედ, გარეთ გატანილს ნაწარმოებს კი ფულზედ ასაღებენ.

ჯავახელები სცხოვრობენ ჯგუფად და არა დაფანტვით, როგორც დას. საქართველოში; სახლებს იკეთებენ ქვა-ტალახისას მიწაში. მათი სახლები დაყოფილია რამდენიმე თვლათ. ახორი და ოდა ერთ თვალშია მოთავსებული, რომელიც გადამკედლილი აქვთ კაცის სიმაღლეზედ ან ძელებით, ან ფიცრით (კაცის სიმაღლეზედ) ზევით კი გაერთიანებული სადგომი და ახორი.

ახორში დაბმული ჰყავთ (ბაგეებზედ) ძროხა და ხარ-კამეჩი (20 სულიდან 40 სულამდე). ხოლო ოდაში თვითონ ხიზანი ცხოვრობს. ასე ადამიანი და საქონელი ერთ თვალ ოთახში ცხოვრობენ და ადვილი წარმოსადგენიცაა თუ რა უარესი სუნი, სიბინძურე იუფლებს იმათ სადგომში.

ჯავახის ოდა ასეა მოწყობილი: კარიდან პირდაპირ ბუხარია, ბუხრის პირდაპირ კი მაღლა ერდო (სანათური) აქვს ოთახს. ახორშიაც ერთი ორი (სანათური აქვს და გვერდებზედაც, აქეთ იქით, რომელზედაც ჯამები და ბოთლები მობწკარული აქვთ.

გადამკედლილ მხარეზედ გაბმულია ჩათო, სადაც ჰკიდია ტანისამოსები და ძველ-ძველი საცვალი; იქვე ჭრელი ან თათრი ქალებისა, კიდობანია, რაშიაც თავის ნამზითვი და ტანისამოსი აქვს მოთავსებული. იქვე, კარებთან აკეცილი აქვთ ძირითადგან თავამდი, ლოგინები და ზევიდან ჭილობები, ფიჩვები აქვთ დაკეცილი, ოთახი სრულიათ მომიწნულია.

გაგრძელება იქნება

რედაქტორ-გამომც.
მ.ჰ. მულაშოვი-პანაძე
ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, N10,
1906 წ.

ფუძეობა ბაკურიანში

დაბა ბაკურიანში რეგიონული ფოლკლორული ფესტივალი – „ფუძეობა - 2019“ აღინიშნა.

დღესასწაულს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ზურაბ ხაჩიძე, სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე და სამცხე-ჯავახეთის თვითმმართველობების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო მხარეში შემავალი მუნიციპალიტეტების ეთნოგრაფიული კუთხეები, სადაც ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრები გამოიფინა, მსურველებს ადგილობრივი ტრადიციული კერძების დაგემოვნების საშუალებაც მიეცათ. საინტერესო ნაწილს წარმოადგენდა ასევე სამეწარმეო მარკეტი. მეწარმეებმა ბრენდირებული ხელნაკეთი ნივთები წარმოადგინეს, რომლებიც დღეს საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს ასპინძის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრის მოქმედმა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „წუნდამ“ და კულტურის ცენტრთან არსებულმა ქალთა ანსამბლმა. „ფუძეობის“ დღესასწაულის შემადგენელი ნაწილი იყო ასევე ფოლკლორული კონცერტი, საბავშვო გასართობი კუთხეები, კოსტუმირებული შოუები და დასკვნითი კონცერტი ლელა წურწუმიასა და ჯგუფ „NONSTOP“-ის მონაწილეობით. „ფუძეობა“ კომპანია ,,GeoTourist''-ის საავტორო სოციალური პროექტია, რომლის მიზანია საქართველოს რეგიონული კულტურის განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა. „ფუძეობა“ „კრედობანკის“ გენერალური სპონსორობით, პროექტ ,,CHECK IN GEORGIA''-ის, მხარადაჭერითა და მუნიციპალიტეტების ჩართულობით ხორციელდება. ფესტივალის სლოგანია – „დაუბრუნდი ერთი დღით შენს ფუძეს“. დღესასწაულს სამცხე-ჯავახეთის გარდა წელს კიდევ ხუთი რეგიონი უმასპინძლებს.

ახალი სასწავლო წლისთვის სათანადოდ მოვემზადეთ!

ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შედის 4 საბავშვო ბაღი: ასპინძის N1 და N2, ტოლოშისა და რუსთავის საბავშვო ბაღები.

2019 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, ოთხივე საბავშვო ბაღის სრული კონტიგენტი შეადგენდა 422 აღსაზრდელს. აქედან 102 აღსაზრდელმა გაიარა სასკოლო მზაობის კურსი და სწავლას გააგრძელებენ მუნიციპალიტეტის შესაბამის სკოლებში.

საბავშვო ბაღებში მისაღებთა კონტიგენტის ზრდის გამო, მიმდინარე წლის 1 აპრილიდან დამატებით გაიხსნა თითო ახალი ჯგუფი ასპინძის N1 და N2 საბავშვო ბაღებში, დასაქმდა 6 ადამიანი – 4 აღმზრდელი და 2 აღმზრდელის თანაშემწე.

ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება ემსახურება აღსაზრდელთა 14 ჯგუფს. ასპინძის N1 და N2 საბავშვო ბაღებში 6-6 სააღმზრდელო ჯგუფი, რუსთავისა და ტოლოშის საბავშვო ბაღებში – თითო სააღმზრდელო ჯგუფი.

ამჟამად მიმდინარეობს ტოლოშის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, სადაც მომავალი სასწავლო წლიდან ნაცვლად ერთი ჯგუფისა, განთავსდება აღსაზრდელთა სამი ასაკობრივი ჯგუფი.

მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით ახლომდებარე 9 სოფლიდან ხორციელდება აღსაზრდელთა უფასო ტრანსპორტირება ასპინძის საბავშვო ბაღებში (ოთა, ოშორა, იდუმალა, დამალა, ივერია, გულსუნდა, ხერთვისი, აწყვიტა, ნიჯგორი).

საკმაოდ ეფექტური და ნაყოფიერია ეთნიკური უმცირესობებისათვის ინტეგრირებული სწავლება. სომეხი ბავშვები მაქსიმალურად არიან ჩართულები საბავშვო ბაღის აქტივობებში. სკოლის ასაკისათვის ისინი უკვე სრულად ფლობენ სახელმწიფო ენას.

ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში დღეისათვის დასაქმებულია 73 თანამშრომელი.

2018 წლიდან ძალაში შევიდა ახალი სტანდარტები:

ტექნიკური რეგლამენტი – ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ''; ტექნიკური რეგლამენტი – ,, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების დამტკიცების შესახებ''.

ზემოთ აღნიშნული სტანდარტების დაცვას ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება მაქსიმალურად უზრუნველყოფს.

უახლოეს მომავალში იგეგმება აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული აღმზრდელ- პედაგოგთა გადამზადება.

ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაღებში ყველა პირობაა იმისათვის, რომ აღსაზრდელებმა მიიღონ ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლება.

ელისო ბექაური,
ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის
დაწესებულებათა გაერთიანების უფროსი

წარსულის ფურცლები

ასპინძის საშუალო სკოლის მოსწავლეები. 1947 წელი. პედაგოგი ბაბულია ჯომარდიძე

თქმულებები

ლეგენდა აწყვიტაზე

ლეგენდის მიხედვით, როდესაც თამარ მეფე ბასიანისკენ მიუძღოდა ლაშქარს, დაღლილებმა ერთი ბანაკი დასცეს დასასვენებლად. ის იყო, პურობა დამთავრდა, რომ თამარის დაბმულმა ცხენმა აიწყვიტა და დაიჭიხვინა. მეფეს გაუხარდა — ეს კარგი ნიშანია, გამარჯვების მომასწავლებელიაო. ბასიანის ომის ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ ამ ადგილისათვის აწყვიტა დაურქმევიათ.

ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, 1993 წელი, გვ.27

კულტურა

მერიის ხელშეწყობით გაიმართა

12 აგვისტო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე აღინიშნა, რომელიც გაეროს ინიციატივით 1999 წლიდან ყოველ 12 აგვისტოს იმართება..

ამ დღესთან დაკავშირებით ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და დაფინანსებით ასპინძის კულტურის ცენტრში უფასო კონცერტი გაიმართა პაატა გულიაშვილისა და პაატა ხაჩიძის მონაწილეობით.

აღნიშნულ ღონისძიებაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ დამსწრე საზოგადოებას ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე მიულოცა. ახალგაზრდებს, რომლებმაც მთელი წლის მანძილზე სხვადასხვა მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მუნიციპალიტეტის მერმა მადლობა გადაუხადა დადააჯილდოვა სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით

სოფელ აწყვიტაში გზის მშენებლობა დამთავრდა

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლების მთებში მისასვლელი გზების, მთის ნაშალისაგან გაწმენდა-შეკეთება-რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება. აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,ჯავახავტოგზა'', რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 20 000 ლარს.

ტენდერით გათვალისწინებულ ვადებში დამთავრდა შესაბამისი სამუშაოები სოფელ აწყვიტაში. შესაბამისად მთაში მისასვლელი გზა ნაშალისა და მეწყერისაგან გაიწმინდა სოფელ საროსა და ნიჯგორის მაღალმთიან ზოლში.

სპორტი

„ტაომ“ დამაჯერებლად გაიმარჯვა

ამ დღეებში ასპინძის რაგბის ბაზაზე ერეკლე II-ს სახელობის, გარდამავალი თასის მოსაპოვებლად მატჩი გამართა, რომელშიც სამცხე-ჯავახეთის „ტაო“ და თელავის „თელავი" ასპარეზობდნენ. თამაში 44-14 ,,ტაოს" გამარჯვებით დასრულდა. თამაშს მოსახლეობასთან და გულშემატკივრებთან ერთად ესწრებოდნენ სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში ბესიკ ამირანაშვილი, სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა მელიქიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

გაზეთ „ასპინძის სიახლენის“ რედკოლეგია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 98 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდებული ქალბატონი, მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ასპინძის საშუალო სკოლის ყოფილი პედაგოგი

ეთერ ცერცვაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ახალი წიგნები

ასპინძის მთავარმა ბიბლიოთეკამ ახლახან მიიღო შემდეგი დასახელების წიგნები:

მაკიუენი – „მონანიება“. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2018 – 605გვ.
მაკდონალდი რ. – „შიში“. თბ.: პალიტრა, 2018 – 429 გვ.
ნესი პ. – „დანარჩენები უბრალოდ ვცხოვრობთ“. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2018 – 253გვ.
ნოლი ჯ. – „ყველაზე იღბლიანი გოგონა“. თბ.: პალიტრა, 2016 – 342 გვ.
პეტრრსონი ჯ. – „მკვლელობაში ეჭვმიტანილის აღსარება“. თბ.: პალიტრა, 2018 – 353 გვ.
რატიშვილი მ. – „ბედის მწერლები“. თბ.: საქართველო, 2018 – 135 გვ.
რატიშვილი მ.– „იარა“. თბ.: კალიგრამი, 2018 – 261 გვ.
სონღულაშვილი ი. – „მირანდუხტიად ხმობილი“. წ. I თბ.: საქართველო, 2010 – 487 გვ.
ატკისონი ქ. – „გაუხსნელი საქმეები“. თბ.: პალიტრა, 2016 – 335 გვ.
რატიშვილი ნ.– „იარა“. თბ.: კალიგრამი, 2018 – 261 გვ.
სანიკიძე ვ. – „დედა ისტორია“. თბ.: ახალი საქართველო, 2018 – 500 გვ.
„ტაო-კლარჯეთი, ისტორიისა და კულტურის ძეგლები“. თბ.: არტანუჯი, 2018 – 589 გვ.
ტურგენევი ი. – „რუდინი. ასია უბედური ქალი“. თბ.: პალიტრა, 2018 – 351 გვ.
ტურგენევი ი. – „პირველი სიყვარული“. თბ.: პალიტრა 2018 – 327 გვ.
უოტსონი ს. – „სანამ დავიძინებ“. თბ.: პალიტრა, 2017 – 332 გვ.
ფოლეტი კ. – „უკუ ათვლა“. თბ.: პალიტრა, 2015– 363გვ.
ქობენი ჰ. – „არავის უთხრა“. თბ.: პალიტრა, 2016 – 355 გვ.
ჩაჩიბაია-მუნტიუკოვა ნ.– „თავზარდაცემულნი“. თბ.: 2010 – 368გვ.
ჩენდლერი რ. – „ღრმა ძილი“. თბ.: პალიტრა, 2018 – 327 გვ.
ჩესტერტონი ვ. – „მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი“. თბ.: პალიტრა, 2018 – 295 გვ.
ჩესტერტონი ვ. – „კაცი რომელიც ხუთშაბათი“ იყო. თბ.: პალიტრა, 2019 – 287 გვ.
ხარატიშვილი მ. – „ბედის მწერლები“ წიგნიერი, 2018 – 136 გვ.. თბ.:
ჰესე ჰ. – „ტრამალის მცელი“. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2016 – 293 გვ.
ჰემეთი დ. – „გამხდარი მამაკაცი“. თბ.: პალიტრა, 2018 – 335 გვ.
ჰემეთი დ. – „მეწამული მოსავალი“. თბ.: პალიტრა 2019 – 351 გვ.
ჰანა ს. – „მონოგრამიანი მკვლელობები. ერკიულ პუაროს ახალი თავგადასავალი“. თბ: პალიტრა, 218 –423 გვ.

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა

პოეზია

მე ჩემი კალო გავლეწე

მე ჩემი კალო გავლეწე,
ტომარას პირი მოვკარი,
სარჩოს და საბადებელსა
ლოცვით ბარაქა ვუთხარი.

ოდითგან წესად დათქმულა, –
ცა სავსე მთვარეს დაიდგამს,
ძნას დავწნავ, კალოს გავმართავ,
კევრზე ბალღებსაც დავისვამ.

სანთლით გავპოხე უღელი,
ხარს ქედი რომ არ დაუხრას,
კევრი მედგარი რამ არის,
აბჯარი კაჟის აუსხამს.

დაეკიდება უღელზე,
აპეურს შუბლზე წაიკრავს,
უბეგავსებულ თავთავებს
გალეწავს, ფეხქვეშ გაიტანს.

უსწორმასწორო კალათას
მოვუქცევ ნიჩბით კალოსა,
დიკის პურს ცერისოდენას
მივანდობ ამბრის ხაროსა.

მილეთის კალოს ბორბალი
ბედ-იღბლით გაწერილია,
ბზე რომ ბზე არის, ისიც კი
საბძელში ჩასაყრელია.

მზემ გაიმეტა ნათელი,
ავდარმაც ბევრჯერ იავა,
ილაჯგაწყვეტილ მეხრეზე
სიბერემ ჯავრი იყარა.

ჩემამდე ასე ყოფილა,
ასე იქნება მარადის,
ვინც ერდო მოხნა, იმანაც
ვერ დაიჩემა ბარაქით.

ჯავახეთს წავალ

ფეხზე ჩავიცვამ ტყავის ქალამნებს,
გავურიგდები მტკვრის ჩურჩულს მალვით,
ჯავახეთს წავალ, ამ ერთხელ კიდევ
და ავისრულებ დიდი ხნის წადილს.

„კრისჭალის ბაღში“ სველ მოლზე გავალ,
„ნაფეტურებში“ დარიჯებს დავთვლი,
„ფუნდუღულუღის“ ცივ წყალსაც შევსვამ,
სულს მოვითქვამ და ნაღველსაც დავცლი,

„და-ძმის მონასტერს“ შემწეობას ვთხოვ, –
შემაძლებინოს ამ ერთხელ კიდევ,
აჰა, „სირმელიც“, სულ ცოტა დარჩა,
ქარაფზე მხრები გავშალო იქნებ.

მაშინ ქალამანს თასმას შევუხსნი,
„აღნიორებსაც“ ფეხით დავივლი,
„სეფისკალოზე“ სანთელს დავანთებ,
ღიღილოების ჩიხტას გამოვწნი.

მომეგებება სითბო ზეგანის,
მტრედებს ჩაუბამთ „ფერხული“ ბანზე,
შემომაფხრიწავს შავ ძაძებს ქარი,
ბაბუაწვერა მომაყრის ფანტელს.

მე დავბრუნდები ჩემს ბავშვობაში,
„დოლაბში“ შედგმულ ოცნებებს ავშლი,
ისევ ავკინძავ იმ ძველ სურვილებს,
დაკარგულ მძივებს დავძებნი „ფაგში„.

„ქვის ქოფანაში“ წყალი ჩამდგარა,
პურის ჯეჯილი ძალ-ღონეს იკრეფს,
„აბულის მწვერვალს“ მთვარის შუქი სცემს,
დაველოდები, იჩქაროს, იქნებ.

ფეხზე ჩავიცვამ ტყავის ქალამანს,
გავურიგდები მტკვრის ჩურჩულს მალვით,
სოფელში წავალ, ამ ერთხელ კიდევ,
და ავისრულებ დიდი ხნის წადილს.

ავტორ-მთქმელი
ელზა ლეკიშვილი,
ასპინძა, 71 წლის

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია